თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3215647

ნომერი: AR1493313

თარიღი : 05.04.2017

გაცემის თარიღი : 21.04.2017

გაცნობის თარიღი : 21.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 10 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 1 , (ნაკვეთი 018/002) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 10 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ნადირაძე პ/ნ 01003003055
- მუხიანი

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1493313 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1488093; #AR1487786 ელექტრონული განაცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 20 მარტს #AR1487786 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე მამუკა ტუსკაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, #01.11.12.018.008; #01.11.12.018.002; #01.11.12.018.072 საკადასტრო ერთეულებზე ზედდების გამო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3166799 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
2017 წლის 20 მარტს #AR1488093 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე მამუკა ტუსკაძემ ქ.თბილისში, #01.11.12.018.008 საკადასტრო ერთეულზე პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის ლეგალიზების მოთხოვნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3168775 ბრძანებით უარი ეთქვა განმცხადებელს #AR1488093 განცხადებით წარმოდგენილი ობიექტის ლეგალიზებაზე.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1487786; #AR1488093 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით, #3166799 გადაწყვეტილების; #3168775 ბრძანების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.
ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0 ლარის და 55 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4) , შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 11 ფურცელი.
გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (#AR1493313, 05.04.2017წ.)